

ზურაბ ჰაპასქირი¹

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/sou.2023.21.44>

**„დავითისა და კონსტანტინეს წამების“ ერთი უცნაური
ცნობის გააზრების საკითხისათვის**

*ანუ რატომ გამოაცხადა ქართველმა აგიოგრაფმა კომან-ყივჩაყთა
„მეფე“ ჰერაკლე კეისრის მოკავშირედ*

აბსტრაქტი. XII საუკუნის ანონიმი ავტორის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, „დავითისა და კონსტანტინეს წამება“, რომელშიც VII-VIII საუკუნეების მოვლენებია აღწერილი, გვხვდება ფრიალ უცნაური ცნობა. სპარსელების წინააღმდეგ ომში ჩაბმული ბიზანტიის იმპერატორის, ჰერაკლე I-ის (610-641) გმირობებზე საუბრისას, ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ „...ბრძანებითა დმრთისადათ განილაშქრა“ მან „სპარსთა ზედა და შვიდა ქუეყანასა კომან-თასა, რომელ არიან ყივჩაყნი, და მისცა ასული თუსი ცოლად მეფესა ყივჩაყ-თასა და წარიყვანა ყოვლითა ძალითა მისითა ძლად თუსად. და შვიდა სპარსეთს და მოკლა ხუასრო, სპარსთა მეფე, და ტყუე ყო, და ადოჟრა ქუეყანად სპარსეთისა“. ცნობის უცნაურობა კი მდგომარეობს იმაში, რომ სრულიად წარმოუდგენელია VII ს. 20-იანი წლების მოვლენებში კომან-ყივჩაყთა მონაწილეობა. სრულიად აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ანაქრონიზმთან, რადგან ისტორია არ იცნობს კომან-ყივჩაყებსა და მათ „მეფეს“, რომელსაც თითქოს მიათხოვა თავისი ქალიშვილი ბიზანტიის ძლევამოსილმა იმპერატორმა ჰერაკლე I-მა.

წარმოდგენილ ნაშრომში, დასმული პრობლემის ირგვლივ არსებული წერილობითი წყაროებისა და ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ავტორი ასკვნის, რომ ქართველ აგიოგრაფს ამ შემთხვევაში ბიზანტიურ და სომხურ წყაროებში დაფიქსირებული საკუთ-

¹ **ზურაბ ჰაპასქირი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

რივ თურქების (დასავლეთ თურქთა ხაკანატის, ან მათი ქვეშევრდომი ხაზარების) ნაცვლად გამიზნულად შემოყავს ავანსცენაზე კომან-ყივჩაყები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ამ მოვლენებიდან თითქმის ოთხი საუკუნის შემდეგ გამოჩნდნენ აქტიურად ფართო საერთაშორისო ასპარეზზე.

„წამების“ ავტორს, როგორც დავით აღმაშენებლის პოლიტიკური კურსის აპოლოგეტს, თურქთა „წარმართი“ ხელმწიფისა და ბიზანტიელი პრინცესას არშემდგარი ქორწინების ნარატივი (რომლის ინიციატორი თვით ძლევა-მოსილი და ქრისტიანული სამყაროს მხსნელად აღიარებული ჰერაკლე კეისარი იყო), თურქ-ხაზართა ჩანაცვლება კომან-ყივჩაყებით დასჭირდა იმისათვის, რომ გაემართლებინა დავით აღმაშენებლის „საჩოთირო“ ქორწინება ასევე „წარმართ“ ყივჩაყთა „უმთავრესის“ ათრაქა შარადანის ძის ასულზე, რომელიც, როგორც ჩანს, იწვევდა გარკვეულ პროტესტს ქართული ეკლესიის ორთოდოქსული წრეებისა და პოლიტიკური ელიტის ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან.

საკვანძო სიტყვები: დავითისა და კონსტანტინეს წამება, ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი, ჰერაკლე კეისარი, ბიზანტია, ყივჩაყები, თურქთა ხაკანატი, დავით აღმაშენებელი, ანაქრონიზმი.

Zurab Papaskiri²

Sokhumi State University

On Understanding of One Strange Passage of the „Martyrdom of David and Constantine“

I.E. Why Did the Georgian Hagiographer Declare the „King“ of the Koman-Kipchaks Be an Ally of Emperor Heraclius

Abstract. In the hagiographic work of an anonymous author of the 12th century, „*The Martyrdom of David and Constantine*,“ which describes the events of the 7th-8th centuries, there is a very strange narrative. In describing the exploits of the Byzantine emperor Heraclius I (610-641), who was engaged in a war against the Persians, the author tells us how „...by the command of God he marched against the Persians and entered the land of the Komans, where the Kipchaks are, and gave his daughter in marriage to the king of the Kipchaks and took her with all his might for his own. And he entered Persia and killed Khosrow, the king of the Persians, and he captured and ravaged the land of Persia.“ The strangeness of the information lies in

² **Zurab Papaskiri**, Doctor of Historical Sciences, Professor of the Sokhumi State University.

the fact that it is completely inconceivable that the Koman-Kipchaks participated in the events of the 620s. It is quite obvious that in this case we are dealing with an anachronism, since history does not know the Koman-Kipchaks and their „king“, to whom the powerful Byzantine emperor Heraclius I allegedly gave his daughter in marriage.

In the presented work, based on the analysis of the written sources and historiographical data about the problem, the author concludes that in this case, instead of the actual Turks (the Western Turkic Khaganate, or their subordinate Khazars) recorded in Byzantine and Armenian sources, the Georgian hagiographer deliberately brings to the forefront the Koman-Kipchaks, who, as is known, appeared actively on the international arena almost four centuries after these events.

The author of „The Martyrdom“, as an apologist for the political course of David the Builder, in the narrative of the failed marriage between the “pagan” ruler of the Turks and the Byzantine princess (the initiator of which was Heracles Caesar, the mighty and recognized savior of the Christian world), needed to replace the Turkic Khazars with the Koman-Kipchaks in order to justify the „sacrilegious“ marriage of David the Builder to the daughter of the „pagan“ Kipchaks’ supreme leader Atrak, son of Sharaghan, which, apparently, caused a certain protest among the Orthodox circles of the Georgian Church and certain representatives of the political elite.

Keywords: The Martyrdom of David and Constantine, Nikephoros of Constantinople, emperor Heraclius, Byzantium, Kipchaks, Turkic Khaganate, David the Builder, anachronism.

შესავალი. ანონიმი ავტორის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, „დავითისა და კონსტანტინეს წამება“, რომელსაც XII საუკუნით ათარიღებენ (კეკელიძე, 1989: 539)³ და რომელიც VII-VIII საუკუნეების მოვლენებს აღწერს, გვხვდება

³ მკვლევართა ერთი ნაწილი „დავითისა და კონსტანტინეს წამების“ შექმნას XI ს. 50-60-იანი წლებით ათარიღებს (სანაძე, არახამია, 2013: 26-30), რაც მთლად დამაჯერებლად არ მოჩანს. ერთადერთი არგუმენტი, რაც ავტორებს მოაქვთ, არის პასაჟი თხზულების დასკვნითი ნაწილიდან, რომელიც გვამცნობს: „ხოლო იყო უჩინო დაფარულ ვიდრე დღეთამდე დიდისა ჯელმწიფისა ბაგრატი-სამდე. და აღიძრა სულისა მიერ წმიდისა და აღაშენა ადგილი იგი მონასტრად უღაბნოებისა და მყუდროებისათვის მის ადგილისა. და აღაშენა საწამებელი წმიდათა მათთვის მოწამეთა, ტაძარი შუენიერი და ცხადად საანბნო ყვნა გუამნი წმიდათა მოწამეთანი და დაასუენნა მის მიერ აღშენებულსა მას ტაძარსა... და არიან მას შინა მდებარე გუამნი წმიდათა მოწამეთანი“ (წამებაი და ღუაწლი, 1971: 262-263; სანაძე, არახამია, 2013: 26-27, 74, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.). ის რომ ავტორი ახსენებს ბაგრატ IV-ის მიერ ტაძრის აგებას, „წმიდათა მათთვის მოწამეთა“ მისი ნოველისომოსობის ჟამს (XI ს. 50-60-იანი წლები), სულაც არაა აუცილებელი მივიჩნიოთ თვით თხზულების დაწერის თარიღად. არ გვესმის, რატომ არ შეიძლება ეს ფაქტი აღენიშნა XII საუკუნის ავტორსაც.

ფრიად უცნაური ცნობა. კერძოდ, სპარსელების წინააღმდეგ ომში ჩაბმული ბიზანტიის იმპერატორის, ჰერაკლე I-ის (610-641) გმირობებზე თხრობისას, ყვება, თუ როგორ „...ბრძანებითა ღმრთისაჲთა განილაშქრა“ მან „სპარსთა ზედა და შევიდა ქუეყანასა კომანთასა, რომელ არიან ყივჩაყნი, და მისცა ასული თვისი ცოლად მეფესა ყივჩაყთასა და წარიყვანა ყოვლითა ძალითა მისითა ძლად თვსად. და შევიდა სპარსეთს და მოკლა ხუასრო, სპარსთა მეფე, და ტყუე ყო, და აღაოჭრა ქუეყანაჲ სპარსეთისაჲ“ (წამებაი და ლუაწლი, 1971: 249, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.).

ამ ცნობის უცნაურობა, მდგომარეობს, იმაში, რომ სრულიად წარმოუდგენელია VII ს. 20-იანი წლების მოვლენებში კომან-ყივჩაყთა მონაწილეობა. ანუ აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ანაქრონიზმთან, რადგან ისტორია უბრალოდ არ იცნობს კომან-ყივჩაყებსა და მათ „მეფეს“, რომელსაც თითქოს მიათხოვა თავისი ქალიშვილი ბიზანტიის ძღვევამოსილმა იმპერატორმა ჰერაკლე I-მა.

დისკუსია. დისკუსიის მთავარი საკითხია – ინფორმაცია აღნიშნული დინასტიური ქორწინების შესახებ არის მწერლის ფანტაზია, თუ მას რაიმე კონკრეტული ისტორიული ფაქტი უდევს საფუძვლად. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჰერაკლე კეისრის საგარეო პოლიტიკის, მათ შორის, პირველ რიგში, მისი დასკვნითი ანტისპარსული კამპანიის ამსახველი სათანადო საისტორიო წყაროების მონაცემების გაცნობა-ანალიზი გვაძლევს საშუალებას აღნიშნული ინფორმაციის წყარო ვეძიოთ ჰერაკლე I-ის ქალიშვილის, ევდოკიას „თურქთა კაგანზე“ ნიშნობის შესახებ ნარატივში, რომელიც წარმოდგენილია ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, კონსტანტინოპოლის პატრიარქის (806-815 წლებში) ნიკიფორეს (758-828) საისტორიო თხზულებაში „მოკლე ისტორია მავრიკიოსის მეფობის შემდგომი დროიდან“ /იგივე – „ბრევიარი“/ (ნიკიფორე კონსტანტინოპოლელისა და მისი ამ თხზულების შესახებ დეტალურად იხ.: Липшиц, 1950: 85-105; Чичуров, 1980: 145-150).

აი რას მოგვითხრობს ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი: „სპარსელებისა და ავარებისგან შემფოთებულმა ირაკლიმ... ევქსინის ზღვა გაცურა და ლაზიკის გავლით სპარსეთში შეჭრა სცადა... იქიდან ძღვენი გაუგზავნა თურქთა ბატონს და სპარსელების წინააღმდეგ ერთად საბრძოლველად მიიწვია. მან ძღვენი მიიღო და დასთანხმდა, ერთად ვიბრძოლოთო. ამით გახარებული ირაკლი თვითონ გაეშურა მისკენ... მან (თურქთა ბატონმა) მეფის მისვლა რომ შეიტყო მოეგება წინ, ჩამოხტა ცხენიდან და მეფეს მიწაზე დამხობით თავყვანი სცა... შემდეგ [ირაკლის] ემინოდა რა [თურქთა ბატონს] სწორედ იგივე ავართანაც არ ექნა (ე. ი. არ შეკავშირებოდა) და რათა იმის მხრით გულდაკერებული ყოფილიყო, მასთან კიდევ უფრო მტკიცე კავშირი შეკრა. უჩვენა მას თავის ქალიშვილის, ევდოკიას, სურათი და უთხრა: „ჩვენ ღმერთმა შეგ-

ვართა, შენ კი ჩემ შვილად დაგსახა (დაგნიშნა). აი ეს ჩემი ასულია და რომელთა ავგუსტა. თუ მე შემეწევი და მტრების წინააღმდეგ მომეხმარები, ამას ცოლად მოგათხოვებო“. ხოლო იგი (თურქთა ბატონი) სურათის სილამაზითა და შემკობილობით [გატაცებული], პირველსახისადმი ტრფობით განიხსჯალა და კიდევ უფრო მოინდომა ბრძოლაში მოკავშირეობა. მაშინათვე თურქთა ლაშქარი და სარდალი მისცა მეფეს. ამათთან ერთად ირაკლი სპარსეთში შეიჭრა, ქალაქები აიღო და ცეცხლის ტაძრები გაანადგურა...“ (გამყრელიძე, 1954: 222-223, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.). მოგვიანებით, როგორც აღნიშნავს ნიკიფორე პატრიარქი, იმპერატორმა ჰერაკლემ, დაპირებისამებრ, კონსტანტინიპოლიდან გაგზავნა თავისი ქალიშვილი ევდოკია თურქთან, მაგრამ შეიტყო რა, რომ ის მოკლეს, უბრძანა, უკან დაბრუნებულიყო.⁴ ასე დამთავრდა ეს ისტორია.

მართალია, კონკრეტულად ავგუსტა ევდოკიას საქორწინო სამზადისზე არაფერს ამბობს, მაგრამ საკუთრივ ჰერაკლე კეისრის დიპლომატიურ ინიციატივებზე სპარსეთში ლაშქრობის წინ ვრცელი მონათხრობი აქვს იმავე ეპოქის ცნობილ ბიზანტიელ მემატთანეს თეოფანე ჟამთააღმწერელს /დახლ. 760-818/ (თეოფანე ჟამთააღმწერლისა და მისი „ქრონოგრაფიის“ შესახებ ვრცლად იხ. Чичуров, 1983^a: 5-146; Любарский, 1984: 72-86). მისი მონათხრობითაც, სპარსეთისკენ დაძრული ბიზანტიის იმპერატორი „ლაზიკისკენ გაემართა“, საიდანაც მან „მოკავშირეებად მოიწვია აღმოსავლეთის თურქები, რომელთაც ხაზარებს ეძახიან... ხაზარებმა გადმოლახეს კასპიის კარები და სპარსეთში... შეიჭრნენ თავიანთი სარდლის ზიებელის მეთაურობით, რომელსაც თავისი თანამდებობით მეორე ადგილი ეჭირა ხაგანის შემდეგ... მეფემ (ირაკლიმ) დასტოვა ლაზიკე და ხაზარებთან შესახვედრად გაემართა. ზიებელმა რომ დაინახა ის, გაემართა მისკენ, კისერზე მოეხვია მას და თავიანთი სცა: სპარსელები კი ყველაფერს ხედავდნენ ქალაქ ტიფლისიდან... ზიებელმა... შეარჩია ორმოცი ათასი წარმოსადეგი კაცი და მისცა მას დასახმარებლად, თვითონ კი საკუთარ ქვეყანაში გაბრუნდა. მეფემ (ირაკლიმ) წაასხა ეს ხალხი და გაილაშქრა ხოსროს წინააღმდეგ“ (თეოფანე, 1941: 99-100, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.).

იგივე ვითარება გვაქვს სომხურ და ქართულ წყაროებში, რომლებიც მეტნაკლები სისრულით მოგვითხრობენ იმპერატორ ჰერაკლე I-ის ამ სპარსული ლაშქრობის მომზადების პერიპეტეიებზე და მის თურქ/ხაზარ/ მოკავშირეებზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით ვრცელ ინფორმაციას იძლევა მოვსეს კალანკატვაცის ქრონიკა „ალუანკის ქვეყნის ისტორია“, რომელშიც სომეხი მემატი-

⁴ ეს პასაჟი ალექსანდრე გამყრელიძის ქართულ თარგმანში არ არის, ამიტომ ვსარგებლობთ რუსული თარგმანებით (Никифор, 1950: 358. შდრ. Патриарх Никифор, 1980: 161).

ანე დეტალურად მოგვითხრობს „უავგუსტოესი კეისრის“ მიერ ანდრეს – ერთ-ერთი თავისი დიდებულთაგანის, ჭკვიანი და განსწავლული კაცის – გაგზავნაზე „ჰონებთან“ სპარსელების წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი შეკვრის წინადადებით. მის შეთავაზებას გამოეხმაურა „ჩრდილოეთის მეფის“ ნაცვალის, ჯეზუ ხაქანი „რომელიც მეორე კაცი იყო სამეფოში“. ამ უკანასკნელმა „შეთანხმების განსამტკიცებლად გაუგზავნა ათასამდე მხედარი – რჩეულნი სიმაძაციით და ძლიერნი მშვილდოსნობით“, რომლებმაც „არაფრად ჩააგდეს სპარსეთის ქალაქის მცველი რაზმები... და როგორც არწივები, ისე გაფრინდნენ დიდ მდინარე მტკვრისაკენ“ და „გეზი აიღეს ქართველთა და ეგერთა ქვეყნებისაკენ. გადალახეს დიდი ზღვის ნაპირები და მიადწიეს სამეფო კარს. წარუდგნენ დიდ კეისარ ჰერაკლეს... თითოეულის წესების მიხედვით განამტკიცეს ფიცი ერთმანეთში და **[ჩრდილოელებმა]** მიიღეს ბრძანება მისგან (ბრძოლაში) გასვლის შესახებ, რათა არავინ დაეჭვებულყო მათში“ (კალანკატუაცი, 1985: 72-73, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.).

მოვსეს კალანკატუაცი აგრძელებს თავის თხრობას და აღნიშნავს, რომ სპარსეთის მეფის მმართველობის „ოცდამეჩვიდმეტე წლის დასაწყისში **ჩრდილოეთის მეფემ შეპირებული მებრძოლი ჯარები გაგზავნა. მხედარმთავრად დააყენა თავისი ძმისწული, რომელსაც სამთავროს პატივსაცემად მათს უწოდებდნენ.** მოსულმა დალაშქრა ალვანეთის ქვეყნის ყველა საზღვარი და ატრპატაკანის ერთი ნაწილი...“, რის შემდეგ „მაცნეთა საშუალებით გააგებინა დიდ მეფე ხოსროვს კეისართან თავისი შეერთებისა და მის დასახმარებლად მოსვლის ამბავი. თან შეუთვალა, „თუ მენ ჰირს არ იბრუნებ ჰრომაელთა მეფისაგან, არ დაუტოვებ მას ყველა ქვეყანასა და ქალაქს, რომლებიც ძალით აიღე, არ დააბრუნებ ამჟამად მენს ხელში მყოფ მისი ქვეყნის ყველა ტყვეს ხის ჯვართურთ, რომელსაც ყველა ქრისტიანი თაყვანსა სცემს და აღილებს, თუ არ გაიხმობ მთელ მენს ჯარს მისი საზღვრებიდან, – ასე ამბობს **ჩრდილოეთის მეფე, მთელი ქვეყნის მფლობელი, მუნი და ყველა მეფის მეუფე,** – მაშინ მეც ჰირს შენკენ ვიბრუნებ ასურეთის მმართველო, და ერთი ბოროტების მაგიერ, რაც მას გაუკეთე, ორმაგად მოგიზღავ. გამოვეშურები ყველა შენი საზღვრისაკენ ჩემი მახვილით, როგორც შენ გაიარე მახვილით მის საზღვრებში. არ მოგეშვები და არ დავაცოვნებ იმის გაკეთებას, რასაც გპირდები“. მართალია სპარსეთის მეფემ ამ შემონათვალს „სიამაყითა და დიდი სიძკაცრით უპასუხა“, თუმცა ამან არ გაჭრა და „**ჩრდილოეთის კეისარმა** მაინც წაიყვანა თავისი ჯარები და სპარსეთის მხარეებს ეკეთა“ (კალანკატუაცი, 1985: 73-74, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.). საბოლოოდ სპარსელებმა გამანადგურებელი მარცხი იწვნეს.

მოვსეს კალანკატუაციის მიერ ნახსენები „ჯეზუ ხაქანი“ ცნობილია ქართული წყაროებისთვისაც. თუმცა, მათში ის „ჯიბლო ერისთავად“ არის მოხსენი-

ებული (ეთნო-პოლიტიკური იდენტობის განსაზღვრის გარეშე). მან იმპერატორ ჰერაკლე I-ის ჯარების შემადგენლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის ალყასა და აღებაში /627-628 წლებში/.⁵ ამავე დროს, ამ მოვლენების ამსახველი სამი ქრონიკიდან ერთ-ერთში – ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებაში – დაფიქსირებულია, რომ ჰერაკლე კეისარმა, სანამ დაიძვრებოდა სპარსეთისკენ სალაშქროდ „*მიიყვანნა დასავლეთით თურქნი... და მოვიდა პირველად ქართლს, სამცხეს...*“. სწორედ ამ ცნობაზე დაყრდნობით თვლიან მკვლევრები, რომ ბიზანტიის იმპერატორის მიერ ქართლის მთავრად დანიშნულ ადარნასესთან ტფილისში დატოვებული „*ერის-თავი, რომელსა ერქუა ჯიბლა*“, არის მოვსეს კალანკატვაცისეული „*ჩრდილოეთის მეფის ნაცვალი*“ (დასავლელ თურქთაგან) ჯებუ ხაქანი (გოილაძე, 1977: 91-92, 94; გოილაძე, 1997: 78-79, 83, 88).

პრინციპში, ეს დასკვნა უდავოდ მისაღებია, თუმცა არგუმენტად იმის მოტანა, თითქოს ჯუანშერ ჯუანშერიანი ამ უკანასკნელს „დასავლელი თურქების ერისთავად“ მოიხსენიებდეს, სიმართლეს არ შეეფერება. სინამდვილეში ჯუანშერის მიხედვით ჯიბლას (ჯაბლუ) სტატუსი მხოლოდ „ერისთავია“ და არა „დასავლელ თურქთა ერისთავი“. მეტიც, კონტექსტიდან გამომდინარე, მკითხველმა შეიძლება ისიც იფიქროს, რომ ის სულაც ჰერაკლე კეისრის (და არა თურქთა ხაკანის) „ერისთავია“ – „*მაშინ კეისარმან მოუწოდა ძესა ბაკურისსა, ქართველთა მეფისასა, ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელი ერისთაობდა კახეთს, რომელსა ერქუა ადარნასე, და მისცა მას ტფილისი და მთავრობა ქართლისა. და დაუტევა მის თანა ერის-თავი, რომელსა ერქუა ჯიბლა, და უბრძანა ბრძოლა კალისა, და თვთ წარემართა მეფე ბრძოლად სპარსთა... ადარნასე, მთავარმან ქართლისამან, და ერის-თავმან ჯიბლუ უწყეს ბრძოლად ციხესა კალისასა. და... მცირედთა დღეთა წარიღეს კალა და შეიპყრეს ციხის-თავი იგი. ამან ერის-თავმან პირველად პირი დრაჰკნითა აღუვსო... და შემდგომად ამისსა ტყავი გაჰადა, და კეისარსა უკანა მისწია გარდაბანს...*“ (ჯუანშერი, 1955: 225, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.)

სომხური და ქართული მათიანეებისგან განსხვავებით, რომლებიც არაფერს წერენ (ისევე, როგორც თეოფანე ჟამთააღმწერელი) ჰერაკლე კეისრის

⁵ ესენია: „*მოქცევაჲ ქართლისაჲ*“ ქრონიკა, რომელშიც მოთხრობილია თუ როგორ „დაუტევა“ ტფილისს „*ჰერაკლე მეფემან ბერძენთამან... ჯიბლო ერის-თავი ბრძოლად... ხოლო ამან ჯიბლო მცირეთა დღეთა შემდგომად კალაჲ გამოიღო და ციხის-თავი იგი შეიპყრა...*“ (მოქცევაჲ, 1979: 326); ჯუანშერ ჯუანშერიანის მათიანე (ჯუანშერი, 1955: 225 – ციტატა იხ. ქვემოთ) და სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, რომელიც ასევე გვაუწყებს, რომ ჰერაკლე კეისარმა „*დაუტევა ტფილისს ჯიბლუ ერისთავი ბრძოლად ციხესა ტფილისისასა... ხოლო მან ჯიბლუ წარიღო კალა და ციხე იგი ტფილისისა გამოიღო, და ციხისთავი იგი შეიპყრა...*“ (სუმბატი, 1955: 376), ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.

ქალიშვილის, ევდოკიას თურქ ხაკანზე მოსალოდნელ დაქორწინებაზე, ეს ისტორია კარგად არის ცნობილი მოგვიანო პერიოდის ანონიმი სირიელი ავტორისთვის⁶, რომელიც მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გაგზავნა ჰერაკლე კეისარმა მოციქული „ხაზართა მეფესთან“ და დახმარების სანაცვლოდ „ხაკანს დაჰპირდა, რომ ცოლად მისცემდა თავის ქალიშვილს, ევდოკიას“ (Пигулевская. 1946: 268; Пигулевская, 2000: 657).

მიუხედავად ქართველი მემატიანეების დუმილისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეების ქართული ინტელექტუალური საზოგადოება გარკვეულწილად მაინც ფლობდა ინფორმაციას ბიზანტიის იმპერატორის დიპლომატიური ნაბიჯების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავდა თურქებთან ანტიისპარსული ალიანსის შექმნას და, რაც მთავარია, ამ ალიანსის დინასტიური ქორწინებით გამყარების მიზნით ჰერაკლე კეისრისეულ ინიციატივაზე. ნათქვამის მკაფიო დადასტურებად უნდა ჩაითვალოს ნიკიფორე კონსტანტინოპოლის „მოკლე ისტორიიდან“ ამონარიდის განთავსება 1042 წელს გიორგი მთაწმინდელის ხელმძღვანელობით შესრულებულ „დაუჯდომელის“ ხელნაწერში, რომელსაც საკმაოდ გრძელი სათაური აქვს: „თხრობაჲ მარგებელი ძუელთა თხრობათაგან შერებული მუწყებელად სახსენებელსა საკვირველებით ქმნილისა სასწაულისასა რაჟამს სპარსნი და ბარბაროსნი დედოფალსა ამას ქალაქთასა ბრძოლად მოადგეს და წარწყმდეს საღრმთოძთა ბჭობითა განსჯილნი ხოლო ქალაქი ესე უვნებელად დაცული მეოხებითა ღთისმშობელისაჲთა მიერითგან წლითი წლადა გალობასა მადლობისასა შესწირავს დაუჯდომელ სახელდებული დღესა“ (Джанაშვილი, 1900: 8; Джанаშვილი, 1912: 108).⁷

⁶ ამ ქრონიკის შედგენას 1234 წლით ათარიღებენ და ის ითვლება სასანიდების ეპოქის ამსახველი უფრო ძველი, ჩვენამდე მოუღწეველი ვრცელი სირიული მათიანის კომპილაციად (ამის შესახებ იხ. Пигулевская, 1939: 56; Пигулевская, 2000: 322. სირიელი ანონიმისა და მისი ქრონიკის შესახებ იხილეთ აგრეთვე: Гусейнов, 1973: 46-150).

⁷ ქართული ტექსტი რუსულ თარგმანთან ერთად პირველად გამოსცა მოსე ჯანაშვილმა 1900 წელს (Джанაშვილი, 1900: 1-61). მანვე 1912 წელს გამოაქვეყნა რუსული თარგმანის ჩასწორებული ვერსია (Джанაშვილი, 1912: 108-145). 1976 წელს პარიზში გამომავალ ქართველოლოგიურ სამეცნიერო ჟურნალში „ბედი ქართლისაში“ დაიბეჭდა თხზულების ფრანგული თარგმანი, რომელიც განახორციელა ცნობილმა ბელგიელმა ქართველოლოგმა მიშელ ვან ესბროკმა (იხ. Esbroeck, 1976: 74-96). აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს აღნიშნული თხზულებით დაინტერესდა რუსი მეცნიერი კონსტანტინე აკენტიევი, რომელმაც თავის ნაშრომს დაურთო ჯანაშვილისეული რუსული თარგმანი მოდერნიზებული ორთოგრაფიით და საკმაოდ კვალიფიციური კომენტარებით (იხ. Акентьев, 2010: 159-170).

მკვლევართა დაკვირვებით, ესაა ისტორიული ჟანრის ბერძნული თხზულების თარგმანი, რომლის ორიგინალი უნდა იყოს გიორგი პისიდიელის (დაახლ. 580-634) – ცნობილი ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწის, პოეტისა და ჰიმნოგრაფის, ჰერაკლე კეისრის გარემოცვის წევრის, მისადმი მიძღვნილი საისტორიო თხზულებების („ირაკლი მეფის ლაშქრობა სპარსელების წინააღმდეგ“, „ირაკლიადა, ანუ სპარსელთა მეფის ხოსროს საბოლოო დაცემა“, „ჰომეა ავართა შემოსევაზე“) ავტორის (ყაუხჩიშვილი, 1963: 173; Сиротенко, 2014: 62-72.) თხზულება (ხაჩიძე, 2021: 102).⁸

მოგვყავს ჩვენთვის საინტერესო პასაჟი ძველი ქართული ხელნაწერიდან: „და მიიწიარა **ტრაპეზუნტედ. სანახებთა მათ სამეგრელომსათა...** წარავლინნა მოციქულნი ძღუნითა მრავლითა მეფისა მიმართ თურქთამსა. ხოლო მეფემან თურქთამან დიდად შეიწყნარნა მოციქულნი ერაკლესნი და მოსცა მას აღთქუმად ერთობისა: ვინამცა ერაკლე წარვიდა თურქეთს: ხოლო მეფემ თურქთამა ყოვლითა ერთითა თვისითა მიეგება ერაკლეს პატივითა დიდითა. და გარდაუჭდა მას ჰუნისაგან თვისსა. და ყოველი ერი მისთანა და თაყუანის სცეს: ხოლო ერაკლე... აღიხადა გვრგვნი თვისი... და დაარქუა მას და უქმნა მას სერი: და რავდენნიცა სერსა მას აქუნდეს ჟურჟელნი ოქრომსა და ვეცხლისანი ანიჭნა მას. და ყოველთა მთავართა მისთა: და სავართაგან... განსამტკიცებლად. რათა ვერ წარიპარონ ლიქნით მეფემ იგი თურქთამ. უჩუენა ხატი ასულისა თვისისამ. და აღუთქუა მიცემად მისა ცოლად: რომელიცა იხილა რამ განჰკრთა: და თავისა თვისისა დადებამ შეწევნად აღუთქუა და სიმრავლემ დიდძალი ლაშქართამ ჰერაკლეს მოჰგუარა შეწევნად მისა, რომელთა თანა მივიდა სპარსეთს ჰერაკლე...“ (Джанашвили, 1900: 48, 50, ხაზგასმა ჩვენია ზ. პ.).⁹

სანამ გავაგრძელებდეთ მსჯელობას ჰერაკლე კეისრის ასულისა და „მეფემ... თურქთამს“ საქორწინო თავგადასავალზე, მიზანშეწონილად მიგვაჩინია მცირე გადახვევა ძირითადი თემიდან და, ჩვენი აზრით, აუცილებელი განმარტების გაკეთება ერთ გაუგებრობაზე, რომელსაც ბოლო დრომდე ადგილი ჰქონდა ისტორიოგრაფიაში და რომელიც უშუალოდ უკავშირდება ქართული სამყაროს ურთიერთობებს თურქულ ეთნო-პოლიტიკურ გაერთიანებებთან. მხედველობაში გვაქვს ზემოთ მითითებული წყაროებიდან მოტანილ ნარატივებში ეთნონიმების „თურქი“ და „ხაზარის“ აღრევა. მიუხედა-

⁸ გიორგი მთაწმინდელის ხელმძღვანელობით შესრულებული თარგმანის მიმართებაზე გიორგი პისიდიელის შემოქმედებასთან ვრცლად იხ. აგრეთვე: Акептьев, 2010: 128-131.

⁹ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1952 წელს აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა მის მიერ თარგმნილ ცნობებს ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის „მოკლე ისტორიიდან“ (ნიკიფორე, 1952: 203-208), დამატების სახით, დაურთო 1042 წლის ხელნაწერის შესაბამისი ტექსტის საკუთარი რედაქცია (ყაუხჩიშვილი, 1952: 422-423).

ვად იმისა, რომ ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის თხზულებაში ჰერაკლე კეისრის მოკავშირედ და მომავალ სიძედ ერთიანად მითითებულია „**თურქთა ბატონი**“/„**მეფე... თურქთა**“, რომელმაც თავისი „**არქონტი მრავალრიცხოვან თურქებთან**“¹⁰ ერთად აახლა იმპერატორს სპარსეთის ლაშქრობაში, მეცნიერები, როგორც ჩანს, უფრო მეტად ენდობოდნენ თეოფანე ჟამთააღმწერლის განმარტებას – „**ადმოსავლეთის თურქებს**“, რომლებიც მოიწვია ჰერაკლე კეისარმა, „**ხაზარებს ედახიან**“ (თეოფანე: 1941: 99, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.) და ამის საფუძველზე ბიზანტიის იმპერატორის მოკავშირეებად ხაზარებს მიიჩნევდნენ. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ეს ტენდენცია კლასიკოსებად მიჩნეულ (სავსებით სამართლიანად) ბიზანტიოლოგთა ფუნდამენტურ გამოკვლევებში (Кулаковский, 1996: 88-91; Успенский, 1927: 31; Острогорский, 2011: 153 და სხვ.), აგრეთვე კავკასიის ქვეყნების წამყვან მკვლევართა ნაშრომებში (Манандян, 1950: 146-148, 150; Тревер, 1959: 223-225; Буниятов, 1965: 24, 34-38, 42-47 და სხვ.).

ჩვენი აზრით, სავსებით სწორად შენიშნავს, თანამედროვე რუსი ბიზანტიოლოგი ანდრეი მიტროფანოვი, რომ ამ შემთხვევაში მკვლევრები თეოფანეს ანაქრონისტული იდეების ტყვეობაში აღმოჩნდნენ, რომელმაც VIII საუკუნის მიწურულის რეალობა VII საუკუნის პირველ ნახევარში გადაიტანა და საკუთრივ თურქები (თურქთა ხაკანატი) და ხაზარები ერთმანეთში აურია (Митрофанов, 2022: 85, 122). მკვლევრის მთავარი არგუმენტია ის ფაქტი, რომ იმ დროისთვის (VII საუკუნის პირველი მესამედი, როდესაც ზემოთ აღწერილ მოვლენებს ჰქონდა ადგილი) ხაზართა სახელმწიფოებრივი გაერთიანება ჯერ კიდევ არ არსებობდა და იმჟამად რეგიონში მთავარი პოლიტიკურ ძალას ე. წ. პირველი თურქული ხაკანატი წარმოადგენდა, რომელიც (603 წელს) დასავლეთ და აღმოსავლეთ ხაკანატებად დაიშალა (Митрофанов, 2022: 85).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე, ამ გარემოებაზე ყურადღება გამახვილა რუსული ხაზართმცოდნეობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა მიხეილ არტამონოვმა, რომელმაც ყოველგვარ ეჭვს გარეშე მიიჩნია, რომ ჰერაკლე კეისარმა ირანთან ომში ალიანსი შეკრა დასავლეთ თურქულ ხაკანატთან და არა აქამდე სრულიად უცნობ ხაზარებთან /«**заклучил союз с Западно-тюркским каганатом, а не с никому до сих пор неизвестными хазарами**»/ (Артамонов, 1962: 155, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.).¹¹ მეცნიერის აზრით,

¹⁰ მოტანილია ელენე ლიპშიცის რუსული თარგმანიდან (Никифор, 1950: 356).

¹¹ ოდნავ განსხვავებულ თეზისს იცავს გამოჩენილი აზერბაიჯანელი ისტორიკოსი აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი ზია ბუნიატოვი, რომელიც თვლის, რომ ხაზარებმა უკვე VI საუკუნეში (არაუგვიანეს 531 წლისა) განახორციელეს მარბიელი ლაშქრობები ამიერკავკასიის ქვეყნებზე (Буниятов, 1965: 35). კიდევ ერთი ავტო-

გარკვეული დაბნეულობა (ბიზანტიურ წყაროებში) ჰერაკლე კეისრის მოკავშირის ეთნო-პოლიტიკური იდენტობის დადგენაში გამოწვეული იყო იმით, რომ ხაზარებმა უკვე მოიპოვეს პოპულარობა, როგორც თურქთა ხაკანატის ქვეშევრდომი თურქების მთავარმა ძალამ ევროპაში, და რომ იაბგუ ხაკანის ძირითადი ძალები ირანთან ომში ბიზანტიის მხარეს, უდავოდ, ხაზარებისგან შედგებოდა (Артамонов, 1962: 155-156).

ბოლო დრომდე, ქართულ ისტორიოგრაფიაშიც ასევე გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ ზემოხსენებულ სპარსულ ლამქრობაში ბიზანტიელების მოკავშირეები იყვნენ ხაზარები და მათი ხაკანი ჯიბლუ. კერძოდ, ამ მოსაზრებას იზიარებდნენ ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1979: 302, 304),¹² შოთა მესხია (მესხია, 1958: 16-18), ლიანა დავლიანიძე (დავლიანიძე, 1965: 54-63), ზაზა ალექსიძე (ალექსიძე, 1968: 206, 270), ანრი ბოგვერაძე (ბოგვერაძე, 1973: 280-282) და სხვები. ასეთი ვითარება იყო 1977 წლამდე, როდესაც ისტორიკოსმა ვანტანგ გოილაძემ გადასინჯა ეს თვალსაზრისი (გოილაძე, 1977: 90-102¹³) და სათანადო წყაროებზე დაყრდნობით სავსებით დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ქართული წყაროები არაფერს ამბობენ ჯიბლუ /ჯაბლუ/ ხაკანის ხაზარობაზე და, რომ ის სინამდვილეში არა იმჟამად ჯერ კიდევ არარსებულ ხაზართა სახელმწიფოს, არამედ დასავლელ თურქთა გაერთიანებას წარმოადგენდა (გოილაძე, 1977: 90-102; გოილაძე, 1997: 13-22, 44-71; 73-95, 102-117, 124).¹⁴

რიტეტული მკვლევრის ანატოლი ნოვოსელცევის დაკვირვებითაც, უკვე VI საუკუნის II ნახევრიდან შეიმჩნევა ხაზართა სამხედრო-პოლიტიკური აქტიურობა კავკასიის მიმართულებით და რომ მათ იმ დროიდან უკვე ჰქონდათ საკუთარი პოლიტიკური გაერთიანება ჩრდილოეთ კავკასიაში. ამავე დროს მეცნიერი არ უარყოფს, რომ ეს გაერთიანება გარკვეულწილად აღიარებდა თურქთა ხაკანატის უზენაესობას. მოგვიანებით კი (VII ს. 20-იან წლებში), ხაზარები, ოფიციალურად აღიარებდნენ რა დასავლეთ თურქთა ხაკანატის ძალაუფლებას, პრაქტიკაში სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, და რომ სწორედ მათ მიმართა ბიზანტიის იმპერატორმა სპარსეთის წინააღმდეგ ერთობლივად გამოსვლის წინადადებით (Новосельцев, 1990: 86-88).

¹² ამავე დროს, დიდი მეცნიერი ფლობდა ინფორმაციას (იოზეფ მარკვარტის პუბლიკაციის მეშვეობით – იხ. Marquart, 1903: 498) იმის შესახებ, რომ ჯიბლუ ხაკანი იგივე ჩინურ წყაროებში მოხსენიებული დასავლეთელი თურქების ხაკანი ტონგ ჯაბლუ ხაგანია (ჯავახიშვილი, 1979: 302). ამის შესახებ იხ. აგრეთვე (გოილაძე, 1977: 90; გოილაძე, 1997: 77).

¹³ მოგვიანებით მეცნიერი კიდევ ერთხელ შეუხო აღნიშნულ საკითხს და ახალი არგუმენტებით გაამყარა თვალსაზრისი, რომ ჰერაკლე კეისრის მოკავშირე ნამდვილად დასავლელ თურქთა სახაკანო იყო (გოილაძე, 1997: 13-22, 44-71; 73-95, 102-117, 124).

¹⁴ დასავლელ თურქთა ხაკანატს მიიჩნევს ჰერაკლეს კეისრის მოკავშირედ ანტისპარსულ კამპანიაში ცნობილი ამერიკელი თურქოლოგი პეტერ გოლდენი (Golden, 1992: 135). ამასთან, ამ ბოლო დროს ზემოთნახსენებმა რუსმა ბიზანტინოლოგმა

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა კითხვა მოხსნა აკადემიკოსმა დავით მუსხელიძემ, რომელმაც მიმოიხილა რა „ცენტრალური და შუა აზიის უზარმაზარ სივრცეზე“ VI ს. II ნახევარში აღმოცენებული „მომთაბარე თურქთა სახელმწიფო ე. წ. თურქთა კაგანატის“ საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები (მუსხელიძე, 2003:242-243, 295),¹⁵ გააშუქა ამ პოლიტიკური ძალის მონაწილეობა VI-VII საუკუნეთა მიჯნის კავკასია-ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ პროცესებში, მათ შორის, ჰერაკლე კეისრის ანტიპარსულ კამპანიაში VII ს. 20-იანი წლების II ნახევარში. მეცნიერმა ერთნიშნად დაადასტურა (პირველ რიგში, ნიკიფორე კონსტანტინოპოლელისა და მისი XI ს. ქართველი კომპილატორის ცნობებზე დაყრდნობით), რომ სწორედ „დასავლეთის თურქთა ხანი“ (და არა ხაზართა ხაკანი) იყო ჰერაკლე კეისრის მოკავშირე (მუსხელიძე, 2003:242-243, 295).¹⁶

ყოველივე ამის დაზუსტება იმიტომ დაგვიჭირდა, რომ „დავითისა და კონსტანტინეს წამების“ ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტში, რომელშიც ავტორი საუბრობს ჰერაკლე კეისრის სპარსეთში ლაშქრობაზე, ბიზანტიის იმპერატორის მოკავშირეებად არც საკუთრივ თურქებია (დასავლელ თურქთა გაერთიანება) დასახელებული და არც ასევე თურქ-ხაზარები,¹⁷ რომლებიც, როგორც დავინახეთ, ფიგურირებენ ამ მოვლენის ამსახველ პირველწყაროებში (ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი, თეოფანე ჟამთააღმწერელი და სხვ.). მათ ნაცვლად ქართველმა აგიოგრაფმა ავანსცენაზე რატომღაც კომან-ყივჩაყები

ანდრეი მიტროფანოვმა წამოაყენა მეტად საინტერესო ჰიპოთეზა, რომ ჰერაკლე კეისრის მოკავშირე და მისი სასიძო უნდა ყოფილიყო არა დასავლელ თურქთა ხელისუფალი – ტუნ ჯაბლუ, არამედ გაძლიერებული აღმოსავლელ თურქთა სახელმწიფოს მეთაური ილიგ ხაკანი (Митрофанов, 2022: 103, 121-135).

¹⁵ იმ პერიოდის თურქულ გაერთიანებებზე და მათ ურთიერთობებზე ქართულ პოლიტიკურ სამყაროსთან უადრესად საყურადღებო კვლევა აქვს გიული ალასანიას (ალასანია, 2008: 21-86). თურქთა ვრცელი იმპერიის წარმოქმნასა და მის გავლენებზე შუა აზია-აღმოსავლეთ ევროპის არეალში საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ვახტანგ გოილაძემაც (გოილაძე, 1997: 14-22).

¹⁶ დავით მუსხელიძის ეს დაკვირვებები აისახა აგრეთვე მეცნიერის განმაზოგადებელ ნაშრომშიც (იხ. მუსხელიძე, 2012: 114-122).

¹⁷ ამ შემთხვევაში ცდუნება აღნიშნულ კონტექსტში აგიოგრაფს თუნდაც ხაზარები ჩაესვა ბევრად უფრო ადეკვატური იქნებოდა, რადგან ამგვარი ანაქრონიზმის საკმაოდ მყარი ტრადიცია არსებობდა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში. ამის მკაფიო მაგალითია თუნდაც „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი მათიანე, რომელიც აჭრელებულია (სრულიად უადგილოდ) ანტიკური ხანის საქართველო-კავკასიაში მიმდინარე პროცესებში ხაზართა სამხედრო-პოლიტიკური აქტივობების ამსახველი ნარატივებით (მროველი, 1955: 11-13, 15-15, 19, 27, 59, 63, 65-68), აგრეთვე ჯუანშერ ჯუანშერიანის ქრონიკა (ჯუანშერი, 1955: 151-152, 179, 182-183). ამის შესახებ ვრცლად იხ. (ანჩაბაძე, 1993: 40-48, იქვე საკითხის ირგვლივ არსებული ისტორიოგრაფია.

– თურქული მოდგმის კიდევ ერთი განშტოების წარმომადგენლები – შემოიყვანა, რომლებიც ისტორიის ასპარეზზე აქტიურად ამ „დიდი ომიანობიდან“ თითქმის ოთხი საუკუნის შემდეგ ჩნდებიან.¹⁸

დიდი დაფიქრება არ სჭირდება იმას, რომ აქ საქმე გვაქვს მორიგ ანაქრონიზმთან იმავე ყივჩაყურ ნარატივთან დაკავშირებით. პირველი ასეთი ფაქტი, როგორც ცნობილია, გვხვდება „ქართლის ცხოვრების“ დასაწყის მატრიანეში, როდესაც ალექსანდრე მაკედონელის ქართლში შემოსვლის პერიპეტეების გაშუქებისას, ვხვდებით განმარტებას: „იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩუენ ბუნთურჲად და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკურისასა მიხვევით, დაუკვრდა ესე ალექსანდრეს“ (მროველი, 1955: 17, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული განმარტება „ქართლის ცხოვრების“ კრებულის მხოლოდ გვიანდელ (ბარათაშვილისეული, ფალავანდიშვილისეული, ნინო დედოფლისეული) ნუსხებში გვხვდება (არახამია, 2017: XL-XLI; ფუტყარაძე, 2020: 24), ციტირებული ფრაგმენტი შეტანილია „ქართლის ცხოვრების“ ფაქტობრივად ყველა სრულ გამოცემაში, დაწყებული მარი ბროსეს პუბლიკაციიდან,¹⁹ სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემით (მროველი, 1955: 17) დამთავრებული.²⁰

¹⁸ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისის თანახმად ყივჩაყური ტომების დიდი მოძრაობა ცენტრალური აზიიდან დასავლეთისკენ, რომელიც XI ს. მიწურულისათვის დასრულდა მათი გაბატონებით ევრაზიის სტეპებში (ირტიშიდან დუნაიმდე) და „*Dest-i Qipchaq*“-ად („ყივჩაყთა სტეპი“) წოდებული ერთგვარი კონფედერაციის შექმნით, დაიწყო დაახლოებით 1030 წლიდან (Расовский, 2012: 154; Новосельцев, 1968: 284; Ахинжанов, 1980: 46-53; Golden, 2011: 323; Голден, 2003: 474 და სხვ.).

¹⁹ „იხილა რაჲ ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩუენ ბუნთურჲად და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკურისასა“ (ქართლის ცხოვრება, 1849: 26). იხ. აგრეთვე ამ გამოცემის ფრანგული თარგმანი: „*Il vit des nations horriblement barbares, établies sur le Mtcouar et le long de ses replis/ nations que nous nommons Turks primitifs) et Qiphtchaqs*“ (Histoire de la Géorgie, 1849: 33, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.).

²⁰ ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ ქართული ორიგინალის ბოლო კონსოლიდირებული გამოცემა, რომელშიც ბუნთურქებისა და ყივჩაყების შესახებ ინფორმაცია ამოღებულია (მროველი, 2008: 37), თუმცა მკვლევრებმა, რომლებმაც იმავე პროექტისთვის (ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი – როინ მეტრეველი) მოამზადეს „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ რუსული და ინგლისური თარგმანები, მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი ტექსტში ჩართვა (იხ. Mroveli, 2008: 20; Mroveli, 2014, 20). აქვე არ შეიძლება გავრდი აუაროთ, ხსენებულ რუსულ და ინგლისურ გამოცემებში აღნიშნული პასაჟის თარგმნისას დაშვებულ შინაარსობრივ უზუსტობას. ორივე თარგმანში ქართული ორიგინალის ტექსტი არასწორადაა გაგებული და ისეა გადმოტანილი, თითქოს „ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი“ კი არ იყვნენ „მსხდომარენი მდინარესა მას

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ ნუსხებში ეს განმარტება უნდა მოხვედრილიყო დავით აღმაშენებლის გუნდის წევრის, მისი „სასო და განმანათლებლის“, არსენი ბერის, რომელიც შესაძლოა დიდი მეფის „ცხოვრების“ ავტორიც იყო (კაკაბაძე, 1913: 5-7; კეკელიძე, 1980: 310; ოდიშელი, 1963: 211-219; ბოგვერაძე, 1971: 71), წმინდა ნინოს „ცხოვრება და მოქალაქობაჲსადმი“ მიძღვნილი თხზულების (არსენ ბერი, 1971: 7-51) მეტაფრასტული ტექსტიდან (არახამია, 2017: XL-XLI; ფუტყარაძე, 2020: 24). მასში განვრცობილი და განმარტებულია უძველესი ქართული საისტორიო წერილობითი ძეგლის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ პასაჟი: „ოდეს ალექსანდრე მეფემან... იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნ-თურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედამტკუარსა მიხუევით“ (მოქცევაჲ, 1979: 320, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.) და წერია: „ალექსანდრე მაკედონელი... შემოვიდა საზღვართა ქართლისათა, იხილნა ნათესავნი იგი სასტიკნი წარმართთანი, რომელთა ჩუენ აწ ბუნ-თურქად და ყივჩაყად უწოდთ. მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკურისასა მიხუევით“ (არსენ ბერი, 1971: 46, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.).²¹ მკვლევრები სავსებით მართებულად მიუთითებენ, რომ ნებისმიერი

მტკურისასა მიხუევით“, არამედ თურმე თვით მათი ხილვით გაკვირვებული ალექსანდრე: «*Увидевши этот свирепый языческий народ, которого мы называем бунтурками и кипчаками, Александр, осевший у реки (Курь) вдоль её изгиба, удивился...*» (Мровели, 2008: 20, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.); “*Seeing this fierce pagan people, whom we call the Bunturks and Q’ipchaks, Alexander who camped along the mt’k’vari river was in wonder, because no other people behaved like this*” (Mroveli, 2014, 2020, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.). იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის ფარგლებში გამოცემულ ქართულ ორიგინალში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოტოვებულია ჩვენთვის საინტერესო პასაჟი, სავარაუდოა, ინგლისური თარგმანის შემსრულებელს ამ შემთხვევაში ეხელმძღვანელა რუსული ტექსტით და ამიტომაც დაუშვა იგივე შეცდომა. სხვათა შორის, მოცემული პასაჟის შინაარსობრივად ადეკვატური რუსული თარგმანი წარმოდგენილია გივი წულაიას პუბლიკაციაში: «*И, видя этих насельников вокруг той реки Курь, жестокие языческие племена, каковых мы называем бунтурками и кипчаками, дался диву Александр...*» (იხ.: Мровели, 1979: 28, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.).

²¹ აღსანიშნავია, რომ არსენ ბერი კიდევ ორჯერ ახსენებს ყივჩაყებს. პირველ შემთხვევაში ისევ და ისევ ალექსანდრე მაკედონელის „ქართლში შემოსვლის“ ნარატივში („შემდგომად ამისა განძლიერდა და დაიპყრა ყოველი სოფელი აჲმან-ვე ალექსანდრე მაკედონელმან სიბრძნითა და სიმზნითა თჳსითა. და აღმოვიდა კუალად ქუყანასა ქართლისასა და ქალაქნი და სიმბგრენი ყოველნი უცხოთესლთა მათ გამოუხუნა, რომელნი-მე მოსრნა და სხუა სიმრავლე მათი ურიცხვ წარავლინა კედარსა მას, სადა-იგი ჰირველნი მიიყვანნა, გარეგან ოვსეთისა. და არს ქუყანაჲ იგი მაღალ და ვრცელ და სიმრავლე წყალთაჲ, სადა-იგი მიერიითგან მკვდრობენ დიდნი იგი ნათესავნი ყივჩაყთანი“ (არსენ ბერი, 1971: 46), ხოლო მეორე უკავშირდება ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობას „აჲმან ვახტანგ... დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი.. შექმნნა კარნი იგი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად

ანაქრონიზმის უკან დგას კონკრეტული ისტორიული მოვლენის ავტორისეული ინტერპრეტაცია (არახამია, 2009: 559). ამ შემთხვევაში არსენ ბერიძე, რომელიც მშვენივრად იყო გათვითცნობიერებული ყივჩაყთა ცხოვრების წესში და ამით გამოხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება მათი „სასტიკი“ ბუნებისადმი (Мровели, 1979: 60 / გივი წულაიას კომენტარი / (არახამია, 2009: 559).

ახლა კი მოვუბრუნდეთ „დავითისა და კონსტანტინეს წამების“ ავტორს და დავსვათ კითხვა – რა ამოძრავებდა მას ჰერაკლე კეისრის თურქებთან (ან მათ ქვეშევრდომ ხაზარებთან – ამას არა აქვს მნიშვნელობა) დადებული სამოკავშირეო შეთანხმების დინასტიური ქორწინებით გამყარების²² საყოველთაოდ ცნობილ ნარატივში – შეეცვალა სასიძოს ვინაობა და ის მაინც და მაინც ყივჩაყთა მეფედ გამოეცხადებინა? ამ კითხვაზე მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი პასუხის გაცემა ნამდვილად არაა იოლი საქმე, თუმცა, ვფიქრობთ, ვარაუდის დონეზე გარკვეული ვერსიის წარმოდგენა მთლად შეუძლებელი არ უნდა იყოს.

პირველი, რაც თვალშისაცემია, XII საუკუნის ავტორის მიერ ზოგადად ჰერაკლე კეისრის ღვაწლის, განსაკუთრებით კი მისი ასულისა და წარმართ „მეფე... თურქთაჲს“ წინასაქორწინო ისტორიის (რომელიც, როგორც უკვე გავარკვიეთ, საქართველოში საკმაოდ გახმაურებული ფაქტი ყოფილა) XII საუკუნის ავტორის მიერ, ერთი შეხედვით, სრულიად უადგილოდ გამოტანა ერთგვარ შესავლად ნარატივისა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს VII საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს განვითარებულ მოვლენებთან.²³ დიდი

უნოდთ, და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი ძალაღნი და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთუღნი, და დღუნდელად დღედმდე არა ჯელ-ეწიფების გამოსლვად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თვნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა...” (არსენ ბერიძე, 1971: 48) /ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ./ აქაც სრულიად აშკარაა, რომ საქმე გვაქვს ანაქრონიზმთან.

²² ზემოთნახსენებმა რუსმა მკვლევარმა ანდრეი მიტროფანოვმა, ჩვენის აზრით, დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ბიზანტიელი ავგუსტასა და თურქი ხელმწიფის ნიშნობის ისტორია არის სავსებით სარწმუნო ისტორიული ფაქტი და არა რაღაც მოგონილი „სათავგადასავლო რომანის“ ფრაგმენტი (Митрофанов, 2022: 135).

²³ ისტორიოგრაფიაში ამ ბოლო დროს არის მცდელობა „დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობაში“ აღწერილი ამბავი VIII ს. I მესამედიდან გადაიტანონ VI ს. შუა ხანებში (სანაძე, არახამია, 2013: 19-26; Sanadze, 2024: 90-106). ჩვენ ამჯერად მოკლებული ვართ შესაძლებლობას ვრცლად შევეხოთ აღნიშნულ საკითხს, თუმცა, ვთვლით, რომ „დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობაში“ მოთხრობილი ისტორიის ამგვარი გადათარიღება არაერთ კითხვას ბადებს და უფრო დამაჯერებელ არგუმენტაციას მოითხოვს. მაგალითად, გაუგებარია რა უნდა ყოფილიყო ამგვარი „გადაადგილების“ მოტივაცია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი მემატიანეები („ქართლის ცხოვრების“ დასაწყის მათიანეებში ეს თვალშისაცემია), როგორც წესი, ცდილობდნენ არა ძველი ისტორიული ამბების

დაფიქრება არ უნდა იყოს საჭირო, რომ ქართველმა აგიოგრაფმა ეს არა შემთხვევით, არამედ სრულიად გამიზნულად გააკეთა. ისტორიოგრაფიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ შინაარსის შესავლის ტექსტის განთავსებით ავტორი ისახავდა დიდაქტიკურ მიზანს. კერძოდ, საზოგადოების დარწმუნებას იმაში, „*თუ რამდენად წარმატებული იყო აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყარო... „ღვთის მოშიში“ მმართველის“ ჰერაკლე კეისრის მმართველობის პერიოდში, „ხოლო შემდგომი იმპერატორების მწვალებლობის გამო, როგორ დასაჯა ღმერთმა ბიზანტია და მისი სამეზობლო, მოუვლინა რა მათ განსაღვლელი ურწმუნო არაბების სახით“* (სანაძე, არახამია, 2013: 14-15).

პრინციპში, ეს სავსებით მისაღები ახსნაა, თუმცა ის მაინც ვერ პასუხობს ჩვენს მთავარ კითხვას – რატომ ჩაანაცვლა ავტორმა თურქები (ან ხაზარები) კომან-ყივჩაყებით და რატომ გაამახვილა ყურადღება მაინც და მაინც თურქთა ხელმწიფისა და ბიზანტიელი პრინცესას არ შემდგარ ქორწინებაზე, რომლის ინიციატორი თვით ძლევამოსილი ჰერაკლე კეისარი იყო. ხომ არ იმალება ამის უკან აგიოგრაფის ინტერესი ერთგვარად გაამართლოს დავით აღმაშენებლის „საჩოთირო“ ქორწინება ასევე „წარმართ“ ყივჩაყთა „უმთავრესის“ ათრაქა შარადანის ძის ასულზე?

იმ მწირი მონაცემებითაც კი, რაც ჩვენ ვიცით დავით აღმაშენებლის დაქორწინებაზე ყივჩაყთა წინამძღოლის ასულზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს მთლად ჩვეულებრივი მოვლენა არ იქნებოდა. გარდა იმისა, რომ ეს აშკარად უკავშირდებოდა თვით დავით მეფის არცთუ ლოიალურ დამოკიდებულებას ქორწინების „კანონებისადმი“ /„**მბრძოლ ვექმენ ყოველთა წესთა სჯულისა მენისათა და ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძღავრე საწოლსა ჩემსა...**“/ (დავით აღმაშენებელი, 1989: 24, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.),²⁴ რომლის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო მისი სავარაუდო პირველი თანამეცხედრე – „სომხის ქალი“,²⁵ რომლისგანაც ჰყავდა „ერთი ღვიძლი შვილი... სახელად...

გადმოტანას უფრო გვიან პერიოდში, არამედ სწორედ რომ, პირიქით, ძველი ისტორიის ფაქტების გვიანდელი პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონიუნქტურის ქრისტში გაშუქებას. შორს რომ არ წავიდეთ, ამის მკაფიო მაგალითია თუნდაც ისტორიული კოლხეთისა, და მოგვიანო ხანის ლაზიკა/ეგრისის სამეფოს იმთავითვე (აზო-ფარნავაზის დროიდან) ერთიან ქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევის „ქართლის ცხოვრებისეული“ კონცეფცია, რომელიც მთლიანად ეწინააღმდეგება თანადროულ ძველ-ბერძნულ და ლათინურ წერილობით წყაროებში დაფიქსირებულ ისტორიულ რეალობას.

²⁴ გარდა ამისა, როგორც ჩანს, ამ კუთხით დავით აღმაშენებლის საეჭვო ქცევაზე უნდა მიანიშნებდეს მემბტიანის რეპლიკა რადაც «სიჭაბუკის» დროინდელ ცოდვაზე (დავით აღმაშენებლის, 1955: 352), რომელზედაც ყურადღება გაამახვილა ივანე ჯავახიშვილმა (ჯავახიშვილი, 1983: 220).

²⁵ არაა გამორიცხული, რომ სწორედ ეს „სომხის ქალი“ ყოფილიყო „ქართველთა მეფის დავითის ქრივი“, რომელიც დააფიქსირა იერუსალიმში (სავარაუდოდ,

დემეტრე“ (დავლიანიძე, 1966: 248), იმჟამინდელი ქართული საზოგადოება, ალბათ, ვერ გუობდა მომავალი დედოფლის „წარმართულ წარსულს“.²⁶ ასეთ ფონზე დავით აღმაშენებლის პოლიტიკური კურსის აქტიურ მხარდამჭერთა წრეს, რომლის წარმომადგენელი შესაძლოა ყოფილიყო „დავითისა და კონსტანტინეს წამების“ უცნობი ავტორი, იქნებ სჭირდებოდა „წარმართ“ ყივჩაყებთან დინასტიური ქორწინების გამართლება და ამისათვის გამოიყენეს ქრისტიანული საქართველოსთვის ისეთი ურყევი ავტორიტეტი, როგორიც იყო ჰერაკლე კეისარი.

ის რომ ჰერაკლე კეისარი ნამდვილად იყო ბიზანტიის იმპერიის გამორჩეული ხელისუფალი, განხილვას არ ექვემდებარება. იგი სავსებით საფუძვლიანად ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ძლევამოსილ, ქრისტიანობისთვის დაუცხრომლად მებრძოლ იმპერატორად, რომელმაც გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა სასანიდურ ირანს, გამოიხსნა სპარსელთა მიერ 614 წელს იერუსალიმიდან გატაცებული „ძელი ცხოველი – ქვეყნიერების განმანათლებელი და ჯოჯოხეთის დამამხობელი ჯვარი“ (კალანკატუაცი, 1985: 65) და გრანდიოზული საზეიმო მსვლელობის ფონზე დააბრუნა ის იერუსალიმში (ამის შესახებ იხ. Болотов, 1907: 95-97; Сиротенко, 2018: 122-125; Митрофанов, 2023: 170-171), რაც ქრისტიანული სამყაროსთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა, მას კი სარწმუნოების მსხნელის დიდება მოუტანა. ბიზანტიის იმპერატორის ეს ღვაწლი კარგად იყო ცნობილი საქართველოშიც.

სწორადაა შენიშნული ისტორიოგრაფიაში, რომ ჰერაკლე კეისარი „ქართველებისთვის, იმთავითვე, ქრისტიანობის დაცვის სიმბოლოდ იქცა“ და „სხვადასხვა ქანრის პოპულარული გმირი გახდა“ (ალასანია, 2008^ა: 90). მართალია, მკვლევრები იმაზედაც ამახვილებენ ყურადღებას, რომ ქართულ წერილობით მემკვიდრეობაში „მის შესახებ გადმოცემებში სხვადასხვა და ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო შრეა დალექილი“ (ალასანია, 2008^ა: 90. ამის დამადასტურებელი მასალა იხ. იქვე: ალასანია, 2008^ა: 90-93. იხ. აგრეთვე: სანაძე, არახამია, 2013: 17-18), მაგრამ ერთი რამ სრულიად უეჭველია –

1108-1109 წლებში) წმინდა საფლავის კანტორმა – მეფსალმუნემ ანსომ /ანსელუსმა/ (ავალიშვილი, 1929: 25-26; Папаскири, 1982: 88-89; პაპასქირი, 1990: 125-126). ამ საკითხზე იხ. აგრეთვე: (მესხია, 2016: 116-118; ბადრიძე, 1984: 124-125 და სხვ.).

²⁶ თუ როგორც მიუღებელი იყო ქართული პოლიტიკური ელიტისათვის „წარმართებთან“ დინასტიური ქორწინებები ნათლად ჩანს არჩილ „მეფის“ სახლულის პოზიციიდან, როდესაც საზართა საკანმა „მოუგზავნა მოციქული და ითხოვა შუშან ცოლად“: „უკეთუ უღონო იქმნეს ყოფა ჩუენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრე დარა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ“ (მატიანე, 1955: 249, საზგასმა ჩვენია – ზ. პ.). ისიც ცნობილია, თუ როგორ დასრულდა შუშანის ტრაგიკული ისტორია, რომელმაც წარმართ საზართა დედოფლობას სიკვდილი არჩია (მატიანე, 1955: 250).

ჰერაკლე კეისრის მიმართ შუა საუკუნეების ქართული ინტელექტუალური საზოგადოება მთლიანობაში განსაკუთრებულ თაყვანისცემას ამჟღავნებდა. ყოველ შემთხვევაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საისტორიო ტექსტებში ამგვარი პოზიტიური განწყობა ბიზანტიის სხვა რომელიმე იმპერატორის მიმართ ნამდვილად არ ჩანს.

ანუ, როგორც სავსებით მართებულად აღნიშნავს გიული ალასანია („*მოქვეა ქართლისადას*“ და სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მონაცემებზე დაყრდნობით), „*ჰერაკლე აშკარად დადებითი გმირია – აღმშენებელი, რწმენის განმწმენდელი, ქართლზე და ქრისტიანულ სამყაროზე მზრუნველი*“, რის გამოც მისი „*როლი საქართველოს და ქართული ეკლესიის ისტორიაში დადებითად არის შეფასებული*“ (ალასანია, 2008^a: 91-92). და აი ასეთმა უძლეველმა მმართველმა, რომელმაც ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა გვიან ანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების „მსოფლიო ომად“ მონათლულ (Shboul, 2004: 239; Сиротенко, 2018: 122) ბიზანტია-სპარსეთის დაპირისპირებაში (602-628) და, ამასთან, საყოველთაო აღიარებით, ქრისტიანულ სამყაროს მხსნელად მოევლინა, როდესაც ეს იმპერიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა ინტერესებმა მოითხოვა, არ იუკადრისა „წარმართ თურქთან“ დანათესავება და მას ცოლად თავისი ასული შესთავაზა.²⁷

ის რომ დავით აღმაშენებლის ასევე „წარმართ“ ყვიჩაყზე დაქორწინების უკან სახელმწიფო ინტერესები იდგა, რომელსაც ზურაბ ავალიშვილის თქმით, „*მსხვერპლად მეფის პირველი ცოლი.., რომელმაც მოლოზნობა მიიღო*“ ეწირებოდა და, რომ ეს ქორწინება ყვიჩაყთა მმართველ წრებთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარების საშუალებად მოიაზრებოდა (ავალიშვილი, 1929: 26; პაპასქირი, 1990: 126) დიდი მიხვედრა არ უნდა. მაგრამ, სავსებით შესაძლებელია ქართული ეკლესიის ორთოდოქსული წრეები და პოლიტიკური ელიტის ცალკეული წარმომადგენლებიც – „*მაბრალობელნი მეფისანი*“, რომლებიც მას, როგორც ჩანს, მრავლად ჰყავდა, სულაც არ იწონებდნენ ამ გადაწყვეტილებას და აპროტესტებდნენ კიდევაც. იქნებ ამიტომაც დასჭირდა დავით აღმაშენებლის პოლიტიკის ცნობილ აპოლოგეტს – მის მემატიანეს – იმის საგანგებოდ აღნიშვნა, რომ მეფემ მოიყვანა „*სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გუარანდუხტ დედოფალი, შვილი ყვიჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარადანის ძისა*“ მაინც და მაინც „*სჯულიერად მეუ-*

²⁷ ისტორიოგრაფიაში შენიშნულია, რომ იმ პერიოდში ბიზანტიის იმპერატორის დაპირება, მიეთხოვებინა თავისი ქალიშვილი (თანაც ავგუსტას – იმპერატორის თანამმართველის – რანგში აყვანილი) ბარბაროსი მმართველისთვის სრულიად წარმოუდგენელი ჩანდა და რომაელებსა და ბარბაროსებს შორის ქორწინება საკანონმდებლო აქტებითაც იკრძალებოდა (ამის შესახებ ვრცლად იხ.: Ермолова, 2013: 290-299; Митрофанов, 2022: 98-106).

დღედ თვსად და დედოფლად ყოვლისა საქართველოსა“ (დავით აღმაშენებლის, 1955: 336, ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.). მემატინანის ეს ბოლო ფრაზა ამკარად პოლიტიკური განცხადებაა, რომლითაც ის თითქოს ცდილობს მოუწოდოს მეფის „მაბრალობელთ“ შექმნილი რეალობისადმი შეგუებისაკენ.

დასკვნა. ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ დავით მეფის „წარმართ“ ყივჩაყთა „უმთავრესის“ ასულზე გარკვეული პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონფრონტაციის ფონზე განხორციელდა. სწორედ ამ დაპირისპირების ერთგვარი ანარეკლი უნდა იყოს „დავითისა და კონსტანტინეს წამების“ ავტორის მიერ საქართველოში ბევრისთვის მენტალურად მიუღებელი „წარმართი“ ყივჩაყების მეფის გამოყვანა სახელგანთქმული, ქრისტიანობისთვის დამაშვრალი ჰერაკლე კეისრის სასიძოდ, რაც მას უთუოდ დავით აღმაშენებლის ასევე „წარმართ“ ყივჩაყ პრინცესაზე „მკრეხელური“ ქორწინების გადასაფარად დასჭირდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ავალიშვილი (1929) ზურაბ ავალიშვილი. ერთი ჯვარის გარშემო. – წიგნში: ზურაბ ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი. პარიზი;
- ალასანია (2008) გიული ალასანია. ქართველებისა და ისლამამდელი თურქების ურთიერთობის ისტორიიდან. – წიგნში: გიული ალასანია. ქართველები და ისლამამდელი თურქები. თბილისი;
- ალასანია (2008^ა): გიული ალასანია. საქართველო, ჰერაკლე კეისარი და მისი მოკავშირე თურქები. – წიგნში: გიული ალასანია. ქართველები და ისლამამდელი თურქები. თბილისი;
- ალექსიძე (1968) ზაზა ალექსიძე. კირონ ქართლის კათალიკოსი. *ალ-მუკავასისა და კიროს ფაზისელის იდენტიფიკაციის პრობლემასთან დაკავშირებით*. – *ეპისტოლეთა წიგნი*. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;
- ანჩაბაძე (1993) გიორგი ანჩაბაძე. ეთნონიმ „ხაზარის“ მნიშვნელობისათვის „ქართლის ცხოვრებაში“. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*. VIII. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;
- არახამია (2017) გონელი არახამია. ახალი „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია. – წიგნში: ახალი „ქართლის ცხოვრება“. ვახტანგი-

- სული რედაქცია*. ტ. I. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *გონელი არახამია*. თბილისი; არახამია (2009) გონელი არახამია. ინტერპრეტაცია და ანაქრონიზმი ძველ ქართულ მატრიანებში. – *ისტორიანი*. სამეცნიერო კრებული. მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი. თბილისი, გამომცემლობა „*არტანუჯი*“;
- არსენ ბერი (1971) არსენ ბერი. ცხოვრება და მოქალაქობა და ლუწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოისი, რომელმან ქადაგა ქრისტე, ღმერთი ჩუენი, ქუეყანასა ჩრდილომასასა და განანათლა ნათესავი ქართველთა. – *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. III (მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს.). დასაბეჭდად მოამზადეს *ილია აბულაძემ, ენრიკო გაბიძაშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ, მანანა დოლაჯიძემ, გულნაზ კიკნაძემ, ციალა ქურციკიძემ*. ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, გამომცემლობა „*მეცნიერება*“;
- ბადრიძე (1984) შოთა ბადრიძე. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან. თბილისი, გამომცემლობა „*მეცნიერება*“;
- ბოგვერაძე (1973) ანრი ბოგვერაძე. ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II. თბილისი, გამომცემლობა „*საბჭოთა საქართველო*“;
- ბოგვერაძე (1971) ანრი ბოგვერაძე. დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და ხასიათის შესახებ. – *ქართული ისტორიოგრაფია*. 2. თბილისი, გამომცემლობა „*მეცნიერება*“, 1971;
- გამყრელიძე (1954) ალექსანდრე გამყრელიძე. ნიკიფორე კონსტანტინეპოლისის ცნობები ირაკლი კეისრის საქართველოში ლაშქრობის შესახებ. – *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*. ნაკვეთი 31, 1954. თბილისი, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა*;
- გოილაძე (1997) ვახტანგ გოილაძე. აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო. თბილისი;
- გოილაძე (1977) ვახტანგ გოილაძე. ჯუანშერის თხზულებაში მოხსენიებული „თურქთა მეფე საბა“ და „ჯიბლა ერისთავი“ (ვინაობისა და ურთიერთნათესაობის საკითხისათვის). – *მაცნე*. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1977, #2. თბილისი, გამომცემლობა „*მეცნიერება*“;
- დავით აღმაშენებელი (1989) დავით აღმაშენებელი. გალობანი სინანულისანი. თბილისი, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*;

- დავით აღმაშენებლის (1955) დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *სიმონ ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I. თბილისი, „სახელგამი“;
- დავლიანიძე (1965)ლიანა დავლიანიძე. ხაზართა ლაშქრობა თბილისსა და ალბანეთში. მოსე კალანკატუელის „ალბანეთის ისტორიის“ მიხედვით. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*. I. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;
- დავლიანიძე (1966) ლიანა დავლიანიძე. მათე ურჯაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. – *საქართველო რუსთაველის ხანაში*. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;
- თეოფანე (1941) თეოფანე ჟამთააღმწერელი. ქრონოგრაფია. გეორგია. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და განმარტებები დაურთო *სიმონ ყაუხჩიშვილმა*, ტ. IV, ნაკვთი I. თბილისი;
- კაკაბაძე (1913) სარგის კაკაბაძე. დავით აღმაშენებლის მემატიანის ვინაობა. ტფილისი, ს. მ. ლოსაბერიძის სტამბა;
- კალანკატუაცი (1985) მოვსეს კალანკატუაცი. ალვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა*. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;
- კეკელიძე (1980) კორნელი კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ორ ტომად. ტ. I. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;
- მატიანე (1955) *მატიანე ქართლისა*. – *ქართლის ცხოვრება*. ტ. I ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *სიმონ ყაუხჩიშვილის* მიერ. თბილისი, *სახელგამი*;
- მესხია (2016) შოთა მესხია. ძლევად საკვირველი. დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება. წიგნი გამოსაცემად მოამზადეს *მარინე მესხიამ* და *ზურაბ ჰაპასქირმა*. თბილისი, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*;
- მესხია (1958) შოთა მესხია. თბილისი ადრეფეოდალურ ხანაში. – წიგნში: შოთა მესხია, დავით გვრიტიშვილი, მამია ღუმბაძე, აკაკი სურგულაძე. თბილისის ისტორია. თბილისი, *საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა*;
- მოქცევაძე (1979) *მოქცევაძე ქართლისად*. – *მატბერდის კრებული X საუკუნისა*. გამოსაცემად მოამზადეს *ბააღურ გიგინეიშვილმა* და *ელენე გიუნაშვილმა*. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;

- მროველი (1955) ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. – ქართლის ცხოვრება. ტ. I ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, „სახელგამი“;
- მროველი (2008) ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს: მიხეილ ქავთარიამ, ელენე ცაგარიშვილმა, ზურაბ სარჯველაძემ. – ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, „ართანუჯი“;
- მუსხელიშვილი (2003) დავით მუსხელიშვილი. საქართველ IV-VIII საუკუნეებში. თბილისი, გამომცემლობა „მემატიანე“;
- მუსხელიშვილი (2012) დავით მუსხელიშვილი. საქართველო VII ს-ის პირველ ნახევარში. – საქართველოს ისტორია ოთხ ტომად. უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე. ტ. II. საქართველო ქრისტიანობის მიღებიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე. თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“;
- ნიკიფორე (1952) ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი. მოკლე ისტორია მავრიკის მეფობის დროიდან. – გეორგია. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV, ნაკვეთი II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა;
- ოდიშელი (1963) ჯუმბერ ოდიშელი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის. – ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. V. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა;
- პაპასქირი (1990) ზურაბ პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
- სანაძე, არახამია (2013) მანანა სანაძე, გონელი არახამია. VI ს. ისტორიული ქრონიკა „დავით და კოსტანტინეს წამებაში“. თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა;
- სუმბატი (1955) სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა. – ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, „სახელგამი“;
- ფუტყარაძე (2020) ტარიელ ფუტყარაძე. „ბუნ-თურქები“, თურქები და ყივჩაყები უძველეს ქართულ წყაროებში. თბილისი;

- ქართლის ცხოვრება (1849) ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთცხრამეტე საუკუნემდის. გამოცემული ღვაწლითა უ. ბროსე. ნაწილი პირველი. ძველი მოთხრობა, 1469 წლამდის ქრისტეს აქეთ. სანქტპეტერბურს;
- ყაუხჩიშვილი (1952) სიმონ ყაუხჩიშვილი. ნიკიფორე კონსტანტინოპოლისის „ისტორიის“ კვალი ძველქართულ მწერლობაში. ბრძოლა ბიზანტიასა და სპარსეთს შორის VII საუკუნეში. – გეორგია. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV, ნაკვეთი II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა;
- ყაუხჩიშვილი (1963) სიმონ ყაუხჩიშვილი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. ტომი III. ბიზანტიური პერიოდის ლიტერატურა. თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“;
- წამებაი და ღუაწლი (1971) წამებაი და ღუაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი. – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. III (მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს.). დასაბეჭდად მოამზადეს ილია აბულაძემ, ენრიკო გაბიძაშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ, მანანა დოლაქიძემ, გულნაზ კიკნაძემ, ციალა ქურციკიძემ. ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;
- ხაჩიძე (1921) ლელა ხაჩიძე. ისტორიული ჟანრის ბიზანტიური თხზულებები და მათი გიორგი მთაწმინდელისეული თარგმანი. – კორნელი კეკელიძე ქართული ფილოლოგიის პატრიარქი. თბილისი, „ქართველოლოგი“;
- ჯავახიშვილი (1979) ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. I. – თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. I. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
- ჯავახიშვილი (1983) ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II. – თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;
- ჯუანშერი (1955) ჯუანშერი. ცხოვრება ვანტანგ გორგასლისა. – ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, სახელგამი;
- Esbroeck (1976) M. van Esbroeck. Une chronique de Maurice à Héraclius dans un récit des sièges de Constantinople. – *Bedi Kartlisa*. Revue de karthvelologie. 34, 1976. Paris;

- Golden (1992) Peter B. Golden. An introduction to the history of the Thirkic peoples: ethnogenesis and state formation in medieval and early modern Eurasia and the Middle East. Wiesbaden, *Otto Harrassowitz*;
- Golden (2011) Peter B. Golden The shaping of the cuman-q̄ipčaqs and their world. – ᲕᲟᲑᲕᲗᲗ: Peter B. Golden. Studies on the Peoples and Cultures of the Eurasian Steppes. Bucharest, *Romanian Academy Publishing House*;
- Histoire de la Géorgie (1849) *Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIXe siècle*. Traduite di Géorgien par M. Brosset. I. St.-Pétersbourg, *Imprimerie de l'Académie Impériale des Sciences*;
- Marquart (1903) J. Marquart. Osteuropäische und ostasiatische Streifzüge: ethnologische und historisch-topographische Studien zur Geschichte des 9. und 10. Jahrhunderts (ca. 840-940). Hildesheim: Olms Verlagsbuchhandlung, 1961 (Reprint of Leipzig 1903 edition);
- Mroveli (2014) leont'i Mroveli. The lives of the Georgian Kings. Translated and with commentary: *Dmitri Gamq'relidze*. – *Kartlis Tskhovreba /A History of Georgia/*. Editor in Chief of the Georgian and Russian editions: *Roin Metreveli*; Editor in Chief of the English edition: *Stephen Jones*. Tbilisi, *Artanuji Publishing*;
- Sanadze (2024) Manana Sanadze. Unknown Georgian Chronicles Recounting the Persian-Byzantine War of 541-562 and the Khazar Capture of Tbilisi in 628. – *Caucasus Journal of Social Sciences*. Volume 17, Issue 1, 2024. Tbilisi, The University of Georgia Publishing House;
- Shboul (2004) A. Shboul. Byzantium and the Arabs: The Image of the Byzantines as Mirrored in Arabic Literature. – *Arab-Byzantine Relations in Early Islamic Times*. Ed. by M. Bonner. Aldershot;
- Акентьев (2010) К. К. Акентьев. Древнейшие свидетельства появления {Ro\$~ на византийской исторической сцене. – *Материалы по археологии и истории античного и средневекового Крыма*. Вып. II. Севастополь-Тюмень;
- Ахинжанов (1980) С. М. Ахинжанов. Из истории движения кочевых племен Евразийских степей в первой половине XI века. – *Археологические исследования древнего и средневекового Казахстана*. Алма-Ата: «Наука»;
- Болотов (1907) В. В. Болотов. К истории императора Ираклия. – *Византийский Временник*. Т. XIV. Вып. 1. 1907. Санкт Петербург;
- Буниатов (1965) З. М. Буниатов. Азербайджан в VII-IX вв. Баку, *Издательство Академии наук Азербайджанской ССР*, (<https://epdf.pub/-vii-ix.html>);
- Голден (2003) П. Б. Голден Формирование Куман-Кыпчаков и их мира. – *Материалы по археологии, истории и этнографии Таврии*. Вып. X. 2003. Симферополь, *Универсум*;

- Гусейнов (1973) Р. А. Гусейнов. Сирийский аноним 1234 г. о Византии и ее соседях. – *Античная древность и средние века*, вып. 10, 1973. Свердловск;
- Джанашвили (1900) М. Г. Джанашвили. Осада Константинополя скифами, которые являются русскими, и поход императора Ираклия в Персию. – *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*. Вып. 27. Тифлис;
- Джанашвили (1912) М. Г. Джанашвили. об осадах Константинополя персами, скифами-русскими (в 626 году) и арабами. – *წიგნბედი*: М. Г. Джанашвили. К материалам по историческим древностям Грузии и России: Заметки, переводы и комментарии. Тифлис;
- Ермолова (2013) И. Е. Ермолова. К вопросу о матримониальных отношениях варваров и римлян. – *წიგნბედი*: *Индоевропейское языкознание и классическая филология*. Вып. 17. Санкт-Петербург, издательство «Наука»;
- Кулаковский (1996) Ю. А. Кулаковский. История Византии, т. III. 602-717 годы. Санкт-Петербург, издательство «Алетейя»;
- Липшиц (1950) Е. Э. Липшиц. Никифор и его исторический труд. – *Византийский Временник*, т. 3 (28). Москва-Ленинград, *Издательство Академии наук СССР*;
- Любарский (1984) Я. Н. Любарский. Феофан Исповедник и источники его «Хронографии» (К вопросу о методах их освоения). – *Византийский временник*, т. 45 (70), 1984. Москва издательство «Наука»;
- Манандян (1950) Я. А. Манандян. Маршруты персидских походов императора Ираклия. – *Византийский временник*, т. 3 (28), 1950. Москва-Ленинград, *Издательство Академии Наук СССР*;
- Митрофанов (2022) А.Ю.Митрофанов. Брак Августы Епифании с тюрком: исторический факт или глава приключенческого романа? - *Proslogion: Studies in Medieval and Early Modern Social History and Culture*, Vol.6(2);
- Митрофанов (2023) А. Ю. Митрофанов. Императрица Мартина в походах Ираклия: к проблеме генезиса идеи крестовых походов. – *Христианское чтение*. Научный журнал Санкт-Петербургской Духовной Академии Русской Православной Церкви. №1;
- Мровели (1979) Мровели Леонти. Жизнь картлийских царей. Извлечение сведений об абхазах, народах Северного Кавказа и Дагестана. Перевод с древнегрузинского, предисловие и комментарии Г. В. Цулая. Москва, издательство «Наука»;
- Мровели (2008) Леонтий Мровели. Жизнь грузинских царей. Перевод и комментарии В.Г. Ахведиани. - *Картлис Цховреба (История Грузии)*. Главный редактор Роин Метревели. Тбилиси, издательство «Артануджи»;

- Никифор (1950) *Никифора, патриарха Константинопольского, Краткая история со времени после царствования Маврикия [Бревиарий]*. Перевод и комментарии Е. Э. Липшиц. – *Византийский Временник*, т. 3 (28). Москва-Ленинград, *Издательство Академии наук СССР*;
- Никифор (1980) Патриарх Никифор (ок. 758-829). «Бревиарий». – *Љозбдо*: И. С. Чичуров. Византийские исторические сочинения: Хронография Феофана, Бревиарий Никифора. Тексты, перевод, комментарии. Москва издательство «Наука»;
- Новосельцев (1968) А. П. Новосельцев. Половцы. – *Советская историческая энциклопедия*, т. 11. *ПЕРГАМ-РЕНУВЕН*. Москва, издательство «Советская энциклопедия»;
- Новосельцев (1990) А. П. Новосельцев. Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа. Москва, издательство «Наука»;
- Острогорский (2011) Г. А. Острогорский. История Византийского государства. Перевод с немецкого: М. В. Грацианский; редактор: П. В. Кузенков. Москва, издательство «Сибирская Благозвонница»;
- Папаскири (1982) З. В. Папаскири. У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тбилиси, Издательство Тбилисского университета;
- Пигулевская (1939) Н. В. Пигулевская. Анонимная сирийская хроника о времени Сасанидов (Сирийские источники по истории Ирана и Византии). – *Записки Института востоковедения Академии наук СССР*, VII. 1939. Москва-Ленинград, *Издательство Академии Наук СССР*;
- Пигулевская (1946) Н. В. Пигулевская. Византия и Иран на рубеже VI-VII веков. Москва-Ленинград, *Издательство Академии Наук СССР*;
- Пигулевская (2000) Н. В. Пигулевская. Сирийская средневековая историография. Исследования и переводы. Санкт-Петербург. Издательство *Дмитрий Буланин*;
- Расовский (2012) Д. А. Расовский. Половцы. – *Љозбдо*: Д. А. Расовский. Половцы. Черные Клобуки: Печенеги, Торки и Берендеи на Руси и в Венгрии (работы разных лет). Историко-генеалогический проект «Суюновы». Серия «Материалы и исследования». Том I. «Исследования по истории кочевников восточноевропейских степей». Москва: *Цивои*;
- Сиротенко (2014) А. Д. Сиротенко. Менандр и Писиды: к вопросу об изображении императора Ираклия. – *Византийский Временник*. Т. 73 (98), 2014. Москва, издательство «Наука»;
- Сиротенко (2018) А. Д. Сиротенко. Император Ираклий в греческой литургической традиции. – *Византийский временник*, т. 102, 2018. Москва. *Издательство Московского университета*;

- Тревер (1959) К. В. Тревер. Очерки по истории и культуре Кавказской Албании IV в. до н. э. – VII в. н. э. Москва-Ленинград, *Издательство Академии Наук СССР*;
- Успенский (1927) Ф. И. Успенский. История Византийской империи. Эпоха смут. Москва, Издательство «АСТ»;
- Чичуров (1980) И.С.Чичуров. Патриарх Никифор (ок. 758-829) «Бревиарий». – $\text{ϥ}\text{o}\text{z}\text{b}\text{d}\text{o}$: И.С.Чичуров. Византийские исторические сочинения: Хронография Феодана, Бревиарий Никифора. Москва издательство «Наука»;
- Чичуров (1980^a) И. С. Чичуров. Место «Хронографии» Феодана в ранневизантийской историографической традиции (IV – нач. IX в.). – *Древнейшие государства на территории СССР*. Материалы и исследования. 1981 год. Москва издательство «Наука», 1983.